კი

საგანგებოდ გაუსვა ხაზი კიევის, მინსკისა და თბილისის დინამოელთა თამაშებში არსებულ ანტაგონიზმს.

განვლილმა მატჩმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ თბილისის "დინამოს" მთავარი ძალა, მისი წამყვანი მოთამაშეები ცუდ ფორმაში არიან და ტონს ვერ აძლევენ კოლექტივის საერთო მოქმედებას. ყოვლად გაუმართლებელია ნახევარდაცვის მეტისმეტი, გადაჭარბებული ბურთის ტარება. უბრალო საფეხბურთო ანბანია, რომ არ შეიძლება ორივე ნახევარმცველი ერთდროულად და ისიც სისტემატურად ტოვებდეს მინდვრის შუაგულს და უმეთვალყურეოდ ჰყავდეს დარჩენილი მოწინააღმდეგის მოიერიშე ძალები. ამის გამოა, რომ თბილისელთა შეტევას არ აქვს სიღრმე და ხანგრძლივობა. საკმარისია ბურთის მოგერიება და მეტოქეს სრული სითავისუფლე აქვს შეუფერხებლად იმოქმედოს დაუცველ ტერიტორიაზე, სურვილისამებრ გაათამაშოს ბურთი. გამოდის რომ ჩვენს გუნდს ჰყავს არა კონკრეტული ფუნქციების მატარებელი ნახევარდაცვა, არამედ რაღაც "ნახევართავდასხმის" მაგვარი რგოლი, რომელიც ერთობ უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაცვისა და თავდასხმის შეკავშირების, მინდვრის ცენტრში მტკიცე კონტროლის დაწესების პირველხარისხოვან ამოცანებს. სწორედ ამიტომაა, რომ დაცვას უჭირს ურთიერთდაზღვევა და ზუსტი თამაში მოპირდაპირე გუნდის ხშირი კონტრიერიშებისას.

უკეთესად არც თევდასხმა გამოიყურება. აქაც ბურთის გაუთავებელი ღეჭვაა, არ ჩანს ორგანიზატორი, გამთამაშებელი ფორვარდი. ყველას სურს "პირველი ხმა" იმღეროს. ანსამბლს კი სოლისტების გარდა შეხმატკბილებაც ესაჭიროება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს სოლისტები მეტისმეტად სცოდავენ ინდივიდუალურ თამაშში. 90 წუთის მანძილზე ერთი-ორი გადამწყვეტი დარტყმა თუ სრულდება კარში და ისიც არაზუსტად.

კიეველებმა 5 აგვისტოს მატჩში ძალზე დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. გუნდმა გვიჩვენა კოლექტიური, შეთამაშებული ფეხბურთი, მაღალი ბრძოლისუნარიანობა. 52-ე წუთზე სერებრიანიკოვმა კარგად გამოიყენა ჭელიძის შეცდომა და გახსნა ანგარიში, ხოლო მატჩის დასასრულს ურუშაძემ ხელიდან გაუშვა უკვე დაჭერილი ბურთი, რამაც ხმელნიცკის საშუალება მისცა კიდევ უფრო განემტკიცებინა თავისი გუნდის გამარჯვება - 2:0.

რ. ქორიძე.

"ლელო", 7 აგვისტო, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან" 6.08.65.